

შპს “ქორუგატორი“-ს

საწყისი ფინანსური ანგარიშგება და განმარტებები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ასარჩევი

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება.....	4-5
საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	5
საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6-11

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020-2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნები	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	99,040.06	59,740.00	88,438.00
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	1,256,202.02	626,679.00	673,064.00
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები			-	-
მარაგები	7	771103.738	478,146.00	90,520.00
მზა პროდუქცია		408941.21	478,041.00	-
სხვა		22,859.31	105	90,520.00
ძირითადი საშუალებები	9	1,788,445.46	763,531.00	171,114.00
სულ აქტივები		4346591.798	1,928,096.00	1,023,136.00
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება		4,046.10	-	-
სავაჭრო ვალდებულებები		264,973.02	596,512.00	604,057.00
საგადასახადო ვალდებულებები		-18997.49	-	7,959.00
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		1,364,892.85	65,528.00	-
სხვა ვალდებულებები			-	980
სულ ვალდებულებები	10	1,614,914.48	662,040.00	612,996.00
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		2,731,677.32	1,266,056.00	410,140.00
გადაფასების რეზერვი			-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები			-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		2,731,677.32	1,266,056.00	410,140.00
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		4,346,591.80	1,928,096.00	1,023,136.00
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,558,146.34	1,164,566.00	852,022.00
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		250,021.63	1,006,652.00	612,996.00

საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2021-2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგები	შენიშვნები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	3	7,572,991.56	4,578,335.00
საქონლის გაყიდვიდან		7,572,991.56	4,578,335.00
მომსახურების გაწევიდან			-
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			-
სხვა			-
გაყიდვების თვითღირებულება		-4,846,189.98	-3,390,897.00
საწყისი მარაგები			-
მარაგების შესყიდვა			-
გადამუშავების დანახარჯები			-
საბოლოო მარაგები			-
საერთო მოგება		2,726,801.58	1,187,438.00
სხვა საოპერაციო შემოსავალი			-
დასაქმებულთა ანაზღაურება		-501,071.21	-137,617.00
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-129,941.35	-99,549.00
საპროცენტო შემოსავალი			-
გადახდილი სესხი		-495,143.10	
საპროცენტო ხარჯი		-8,231.72	-
იჯარის ხარჯი		-12,603.73	-13,189.00
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		-114,189.15	-81,167.00
სულ საოპერაციო ხარჯები	4	-1,261,180.26	-331,522.00
საოპერაციო მოგება		1,465,621.32	855,916.00
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)			-
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		1,465,621.32	855,916.00
მოგების გადასახადის ხარჯი			-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		1,465,621.32	855,916.00
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		1,465,621.32	855,916.00
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		1,266,056.00	410,140.00
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		2,731,677.32	1,266,056.00

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1,266,056.00
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში , კაპიტალის გაზრდა; , კოოპერატივის შემთხვევაში, საპაიო კაპიტალის გაზრდა	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში - -	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2,731,677.32

საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

(პირდაპირი მეთოდი)	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	7,583,340.99	5,365,924.79
მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	7,193,974.57	4,802,205.79
გადახდილი პროცენტები		-
გადახდილი მოგების გადასახადი		-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	389,366.42	563,719.00
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა და იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	-1,024,914.46	592,417.00
მანქანა დანადგარების გაყიდვიდან მიღებული თანხები		-
მიღებული პროცენტები		-
მიღებული დივიდენდები		-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-635,548.04	28,698.00
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან	674 848.10	-
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა განაღდება		-
გადახდილი დივიდენდები		-
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	39,300.06	
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	39,300.06	-28,698.00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	59,740.00	88,438.00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	99,040.06	59,740.00

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ქორუგატორი“ (ს/ნ 406132288) რეგისტრირებულია 2014 წლის 19 ნოემბერს კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონში, თელავის ქუჩა N 49, ხოლო საქმიანობის ძირითადი ადგილია - საქართველო, თბილისი ისანი-სამგორი ორხევის დას. ახვლედიანის ქ. 1. შპს „ქორუგატორი“-ს მესაკუთრეები არიან1) ლაშა ჩიკვილაძე პ/ნ 01011090010 -50% და 2) გელა ჩიკვილაძე 01022006492 -50%, კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის გოფრირებული ქაღალდის და მუყაოს, ქაღალდის და მუყაოს ტარის წარმოება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მომსახურება მიეწოდება და მხარეებს შორის გაფორმდება ზედნადები ან/და მიღება-ჩაბარების აქტი. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სკს) გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

სკს-ს მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება.

მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ დივიდენდები განაწილებულია 2008-2016 წლებში დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან, მაშინ მოგების გადასახადის ვალდებულება საწარმოს არ წარმოეშება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად

(მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და სხვა). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს აქტივი (ან აქტივები) მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად.

იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად.

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია, როგორც მიიჯარე

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შედგება ბანკში ფულის ნაშთისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ამონაგები

	<u>2022 წელი</u>	<u>2021 წელი</u>
	ლარი	ლარი
შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან	7,572,991.56	4,578,335.00
	<u>7,572,991.56</u>	<u>4,578,335.00</u>

4. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	<u>2022</u>	<u>2021</u>
ადმინისტრაციისა და გაყიდვების ხელფასების ხარჯი (საშემოსავლოს და საპენსიოს ჩათვლით)	(501,071.21)	(137,617.34)
საიჯარო ქირა	(12,603.73)	(13,189.19)
რემონტის ხარჯი		(7,630.60)
საბანკო ხარჯები	(8,231.72)	(3,210.18)
წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯი	-	(14,922.06)
მანქანის ტექდათვალიერების და ნაწილების ხარჯი		(1,902.00)
საწვავის ხარჯი	(68,549.87)	(41,344.72)
GPS მომსახურება	(1,320.00)	(1,320.00)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(129,941.35)	(99,549.22)
სესხის პროცენტი	-	(10,837.42)
გადახდილი სესხი	(495,143.10)	
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(44,319.28)	
ჯამი	<u>(1,261,180.26)</u>	<u>(331,522.72)</u>

5. მოგების გადასახადი

2022 წლის საანგარიშო პერიოდში კომპანიის მიერ ბიუჯეტში გადასახდელმა მოგების გადასახადის ხარჯმა შეადგინა 0 ლარი, ხოლო 2021 წლის - 0 ლარი.

6. ფული და ფულის ექვივალენტები

	<u>2022 წელი</u>	<u>2021 წელი</u>
	ლარი	ლარი
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	75,709.37	1049.73
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	23,330.69	58690.30
	<u>99,040.06</u>	<u>59,740.00</u>

7. მარაგები

	<u>2022 წელი</u>	<u>2021 წელი</u>
	ლარი	ლარი
მარაგები	771103.738	478,146.00
მზა პროდუქცია	408941.21	478,041.00
სხვა მარაგები	22,859.31	105
	<u>1202904.26</u>	<u>956,292.00</u>

8. სავაჭრო მოთხოვნები

2022 წელი

შპს უშბა დისტილერი	161,173.14
შპს სვითი	151,755.80
სს კოტეხი-გურჯაანის ღვინის ქარხანა	137,601.83
შპს ასპარეზი	76,695.60
შპს ფექიჩინგ სერვისი	56,844.77
შპს ეი-ბი-ეფ	56,623.82
შპს ნიუ ლაინი	36,981.15
შპს FOOD 7	36,231.89
შპს ჯორჯიან ბეიქერს	33,794.75
შპს G & A GROUP	29,922.92
შპს მარშე	26,627.67
შპს ღუგლაძეების ღვინის კომპანია	23,395.61
შპს რითეილ ჯგუფი	21,610.00
შპს პროფ სისტემი	20,424.87
შპს დოლჩე ვიტა	18,859.00
შპს ნიუ ჯორჯიან ფეიფერ	17,957.55
შპს უნიბოქს	17,284.97
შპს ვ.დ. დისტრიბუცია	16,936.50
შპს ბისკოტო	16,425.70
შპს სამთა ტკბილისი	15,110.95
შპს ბი ჯი ემ ჯორჯია	13,780.86
შპს ჯეო მარკი	13,082.62
შპს კავკასიის ბიზნეს ალიანსი სი.ბი.ეი	12,880.00
შპს კრაფტსიტი	12,566.65
შპს კონდი	11,307.70
შპს კრაფტლიონი	10,966.60
შპს ჯორჯიან ლეჯენდ	10,596.88
სხვა კომპანიები	198,762.22
ჯამი	1,256,202.02

9. ძირითადი საშუალებები

	2022 ლარი	2021 ლარი
მიწის ნაკვეთი	556,230.00	0
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	709,370.12	567,450.75
მანქანა-დანადგარები	452,130.22	132,678.23
ავეჯი და სხვა ინვენტარი	22,894.57	5,336.89
ავტომობილი	47,820.55	58,066.00
ჯამი	<u>1,788,445.46</u>	<u>763,531.87</u>

10. სხვა ვალდებულებები

	<u>2022 წელი</u>	<u>2021 წელი</u>
	<u>ლარი</u>	<u>ლარი</u>
სავაჭრო ვალდებულებები	269,019.12	596,512.00
საგადასახადო ვალდებულებები	-18997.49	-
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1,364,892.85	65,528.00
<u>ჯამი</u>	<u>1,614,914.48</u>	<u>662,040.00</u>

9. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 01 იანვრისთვის შეადგენდა 2,731,677.32 ლარს და მას სრულად ფლობს დამფუძნებელი.

10. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 29 სექტემბერს.

შპს "ქორუგატორი"-ს

დირექტორი: ლაშა ჩიკვილაძე /

